მიკრო და მცირე ბიზნესის გადასახადები – მითი..., თუ რეალობა



ახალი საგადასახადო კოდექსის ჯანონპროექტზე ბევრი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება დაიწერა, მათი უმნიშვნელო ნაწილი გაითვალისწინეს კიდეც, თუმცა, ძირითადი ხარვეზები, თუ პრინციპულად მიუღებელი დებულებები აწ უკვე პარლამენტის მიერ მიღებულ კოდექსს კვლავ შერჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს დოკუმენტიც არ იმუშავებს, გაიზიარებს მისი წინამორბედის ხვედრს და დაუსრულებელი ცვლილებების (ექსპერიმენტების) ობიექტად იქცევა.

წინამდებარე წერილის მიზანია კონკრეტული გათვლების საფუძველზე დავინახოთ, პრაქტიკულად, თუ რა შედეგს იძლევა მთავრობის მიერ რევოლუციურად შერაცხული ახალი საგადასახადო კოდექსით შემოთავაზებული მიკრო და მცირე ბიზნესის გადასახადების გადამხდელთა ახალი კატეგორიები - ვისთვის უფრო მისაღები და მომგებიანია ისინი – მეწარმისთვის, თუ სახელმწიფოსთვის?

მიკრო ბიზნესის გადასახადი

დავიწყოთ იმით, რომ მიკრო ბიზნესის გადასახადის გადამხდელები, რომლებზეც სპეციალური დაბეგვრის ეს რეჟიმი გავრცელდება, პრაქტიკულად მეწარმე ფიზიკური პირები არიან – ისინი, ვინც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას. ამასთან, ეს შეეხება სამეწარმეო საქმიანობის გარკვეულ ჩამონათვალს, რომელსაც მთავრობა დაამტკიცებს. სავარაუდოდ, ის მოქმედი **საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ** ფიზიკურ პირთა წრეს არ გასცდება. ისინი ისედაც იყვნენ ყველანაირი გადასახადებისგან განთავისუფლებულნი. ამდენად, აქ სიახლე არაფერია. ახალი კოდექსით წარმოდგენილ ამ ნაწილში მიუღებელია ის, რომ **მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისგან საქონლის, ან მომსახურების შემძენ/მიმღებ პირს, დოკუმენტურად დადასტურების მიუხედავადაც კი,** საგადასახადო მიზნებისათვის მისი გამოსაქვით ხარჯად აღიარების უფლება არა აქვს. რა გამოვიდა? ფაქტობრივად, სახელმწიფომ ასეთი საქონლის/მომსახურების გამწევი პირი გაანთავისუფლა გადასახადისგან, მაგრამ, თუ მას სხვა ეკონომიკური საქმიანობის მიმდევარი პირი გამოიყენებს ეკონომიკურ საქმიანობაში, გამოსაქვით ხარჯად ვერ აღიარებს – შესაბამისად, დასაბეგრ შემოსავალს ვერ შეამცირებს და მასზე გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა. გამოდის, რომ გამყიდველის/მომსახურების გამწევი პირის ვალდებულება, მყიდველს/მომსახურების მიმღებს გადაეკისრა. ამასთან, აღნიშნულს თან სდევს მეორე უკიდურესობაც. კერძოდ, ასეთ პირობებში ცხადია, სხვა მეწარმეები (მცირე და მსხვილი ბიზნესის) წარმომადგენლები თავს შეიკავებენ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისგან საქონლისა და მომსახურების შეძენაზე. მოკლედ, მიკრო ბიზნესის წარმომადგენელს აქედანვე ჩამოეკიდა ისეთი იარლიყი, რომ მასთან ურთიერთობას სხვა პირი არ მოისურვებს.

მოდით ამ ყველაფერსაც დავანებოთ თავი და გავთვალოთ: კონკრეტულად რა მოცულობის გადასახადისგან განთავისუფლდება ამ „შეღავათით“ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელი.

ჩვენს ქვეყანაში, ეკონომიკური საქმიანობიდან ფასნამატი 10-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად, საუკეთესო შემთხვევაში, მიკრობიზნესის წარმომადგენელი პირი 30 ათასი ლარიანი ბრუნვიდან წელიწადში სულ 3000-დან 4500 ლარამდე ფასნამატს მიიღებს. მაგრამ აქვე თუ სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, შუქი, წყალი, კომუნიკაციები, ქირა და ა.შ) გავითვალისწინებთ, ეს შემოსავალი ფაქტობრივად განახევრდება და დასაბეგრიც არაფერი რჩება, რადგან ასეთი ფიზიკური პირის ყოველთვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმის ფარგლებსაც ვერ გასცილდება (მით უმეტეს, მუდმივად მზარდი ინფლაციის პირობებში), შესაბამისად, დამერწმუნეთ, ვერაფერი დამაიმედებელი შეღავათია.

მცირე ბიზნესის გადასახადი

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა მცირე ბიზნესის შემთხვევაში. დავიწყოთ იმით, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე შეიძლება იყოს ფიზიკურ პირთა ვიწრო წრე – რამდენადაც ახალი საგადასახადო კოდექსის **89-ე მუხლის მე-2 ნაწილის** შესაბამისად, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს აკრძალოს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა მიერ ცალკეული საქმიანობის განხორციელება.

ახლა კი უშუალოდ გადასახადზეც ვიმსჯელოთ. კოდექსით განსაზღვრული პროექტის შესაბამისად, მცირე ბიზნესის გადასახადის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის ბიუჯეტში გადასახადი 3-5 პროცენტის ფარგლებშია.

100 ათასიანი ბრუნვიდან 5 პროცენტის შემთხვევაში გადასახადის თანხა შეადგენს 5,000 ლარს. ვთქვათ, მეწარმე ფიზიკურმა პირმა არ აირჩია აღნიშნული (მცირე ბიზნესის) სტატუსით სარგებლობა და იგი იხდის საშემოსავლო გადასახადის – 5.000 ლარს, მაშინ, მისი დასაბეგრი შემოსავალი იქნება – 25.000 ლარი (ამ თანხიდან, ჩვეულებრივ, 20 %-იან რეჟიმში საშემოსავლო გადასახადი უდრის 5.000 ლარს).

მარტივი გათვლითაც ცხადია, რომ 100 ათას ლარ ერთობლივ შემოსავალში, თუ დასაბეგრი შემოსავალი 25.000 ლარია, ასეთ შემთხვევაში, ფასნამატი სულ ცოტა 25 % მაინც უნდა იყოს, რაც არსებული ეკონომიკური საქმიანობის პირობებში ფაქტობრივად არარეალური და მიუღწევადია.

უკეთესი მდგომარეობა ვერც იმ შემთხვევაშია, როცა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე 3 პროცენტიანი გადასახადით დაბეგვრის რეჟიმით იმუშავებს. (მუხლი 89, ნაწილი 2). ამ პირობებში იგი ფიქსირებული გადასახადის სახით 100 ათასი ლარი შემოსავლის შემთხვევაში 3000 ლარს გადაიხდის. ჩვეულებრივი რეჟიმით საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შემთხვევაში 3000 ლარი საშემოსავლო გადასახადის გადახდისას მისი დასაბეგრი შემოსავალი იქნებოდა 15.000 ლარი.

თუ ამ პირობას შეღავათიან რეჟიმს მოვარგებთ, ფასნამატი არანაკლებ 15 % მაინც უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქტიკულად ეს მაქსიმალური დონეა და აღნიშნულ ზღვარს ზევით ფასნამატი იშვიათ გამონაკლისს თუ წარმოადგენს.

ამასთან, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო წელს მიღებული ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება (თუ არ ხდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გასვლა) და მას ყველა შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, საგადასახადო წელი მოგებით დაამთავრა თუ ზარალით), მიღებული შემოსავლებიდან გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მცირე ბიზნესის გადასახადის სტატუსის მიღების შემთხვევაში მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდებიან მხოლოდ ის მეწარმე ფიზიკური პირები, რომელთა ეკონომიკური საქმიანობის რენტაბელობის დონე 25%-ზე მეტი იქნება.

მაგალითისთვის, თუ მეწარმე ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობის რენტაბელობა 30%-ია, მაშინ, მას ჩვეულებრივი რეჟიმით დაბეგვრის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადით გადასახდელი ექნება – 12.000 ლარი (200.000ლX30%) X20%), მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შემთხვევაში კი მას მაქსიმუმ 10.000 ლარი ექნებოდა გადასახდელი (200.000 X 5%).

საგადასახადო კონტროლი

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის ნიუანსები, რომლებიც თან ახლავს მცირე და მიკრო ბიზნესის საგადასახადო კონტროლის (მუხლი 96) ღონისძიებებს. კერძოდ, საგადასახადო ორგანოები მათ მიმართ ანხორციელებენ მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებებს:

ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

გ) საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა (გარდა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების შემთხვევებისა);

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია, გარდა მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების შემთხვევებისა.

უფრო მეტიც, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირების შემოსავლები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდით ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

დამეთანხმებით (პრაქტიკიდან გამომდინარე), ზემოაღნიშნულ საგადასახადო კონტროლის ფორმებს საგადასახადო ორგანოები მოხერხებულად გამოიყენებენ გადამხდელთა მიმართ. საგადასახადო დავები კი, როგორც წესი, გადამხდელთათვის უშედეგოდ მთავრდება. ამდენად, საგადასახადო ორგანოებს აქვთ მნიშვნელოვანი ბერკეტები იმისათვის, რომ მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეები მარტივად გადაიყვანონ ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმში და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მკაცრი ფინანსური სანქციების წნეხის ქვეშ მოაქციონ.

ამ გადასახედიდან, მითია, თუ რეალობა მიკრო და მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმები ამ სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირებისთვის, დრო მას მალევე გამოცდის, გადამხდელი კი უფრო ადრე მიხვდება.



სულიკო ფუტკარაძე,
ჟურნალ **„ბიზნესი და კანონმდებლობის“** ექსპერტი საგადასახადო საკითხებში

ჯემალ ანანიძე,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სოციალური მეცნიერებისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი